ფედერალიზმის სოციალურ-ეკონომიკური გაგების საკითხისათვის

რუსუდან თევზაძე
სტუ-ს დოქტორანტი

ნებისმიერი სახის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა ქვეყნის მმართვის ბერკეტს წარმოადგენს, თუმცა ისიც ცხადია, რომ სწორედ მართებულად შერჩეულ მოწყობის ფორმაზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების წარმატება, ან წარუმატებლობა.

ფედერაციული მოწყობის პოლიტიკური სიძლიერე ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს და დიდწილად დამოკიდებულია შეძლებისდაგვარად მაღალ ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე.

ფეოდალიზმი, როგორც ქრისტიანულ ცივილიზაციაში ადამიანის არსებობის სოციალურ-ეკონომიკური ერთ-ერთი უძველესი ფორმა, მეტად საინტერესოდ წარმოჩინდება. იგი იყო პირველი მოცემულობა, როგორც პიროვნების საზოგადოებაში ფედერაციულ ერთეულად ჩასახვისა.

ცივილიზაციის განვითარების მთელი გზა, უზრუნველყოფილი და შეფუთული მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ნიშანთვისებებით არის სწორედ ამ პირველადი პრინციპების განვითარების გზა. თავისთავად, "ფეოდალიზმი" კი არის ისეთი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც აგებულია რჩეულობის იერარქიულ პრინციპებზე და ვალდებულებებისა და უფლებების მკაცრ შესატყვისობაზე, რომელიც სახელმწიფოს არსებობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფედერაციული ფორმის დროს, რამდენიმე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული თანახმაა და რათქმა უნდა აქვთ სურვილი შექმნან ერთი უფრო დიდი გაერთიანება, რომელიც ფედერაციულ სახელმწიფოდ იწოდება, თუმცა სურვილისა და შესაბამისად თანხმობის მყარ საფუძველს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს თითოეული ერთეულის მაღალი ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რომელიც აძლიერებს და ამყარებს ფედერაციული ერთობას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არავის არასდროს სრულფასოვნად არ წარმოუდგენია და დაუმტკიცებია ფედერალიზმის კონცეფცია და შესაბამისად მისი უპირატესობა, თუმცა პრაქტიკულად ყველა ერთნაირად ხედავდა, იმ ძირითად ღირებულებას და არსთა არსს, რითაც ესოდენ მომხიბლავია ფედერალიზმი; ეს არის, ადამიანთა საზოგადოებრივი კეთილმოწყობის მაქსიმალური შესაძლებლობა, ინდივიდუალური ღირსებების წარმოჩენა და საკუთარი ღირებულებების რეალიზება.

უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის მონარქიული და რესპუბლიკური ფორმის სიმეტრიული წონასწორობა ფედერაციულ წყობაში, რომელსაც ხაზს უსვამს მონტესკიე, სრულიად არ ნიშნავს საზოგადოების კონსტიტუციური განვითარების ხელოვნურად შეფერხებას. ვფიქრობთ, რომ მონარქია და რესპუბლიკა არ წარმოადგენს კონტრადიქტორულ (*დებულება, რომლის მცდარობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ლოგიკური ანალიზის მეშვეობით, მისი ფაქტორებთან შედარების გარეშე)* ცნებებს, და რომ ფედერაციული წყობა (ანტიცენტრალიზმი) ისეთივე ბუნებრივი მწვერვალია რესპუბლიკური სისტემისა, როგორც ფეოდალიზმი (ანტიაბსოლუტიზმი) მონარქიისა.

ყოველივე ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქრისტიანული ცივილიზაციის ფარგლებს გარეთ, ფედერალიზმის იდეას და მითუმეტეს კონცეფციას არავითარი საწყისი არ მოეპოვება. ისინი არ განუვითარებია არც პლატონს, რომელიც სახელმწიფოს და საზოგადოებას ბერძნული კლასიკური პოლისის ფარგლებში ხედავდა, არც არისტოტელეს, რომელსაც ელინიზმის მიჯნაზე მოუხდა აზროვნება და არც მათ მიმდევრებს. ვიდრე "აღორძინებამ" სრულიად ახალი თვალითა და გნწყობებით არ შეხედა სამყაროს და ადამიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფიერებას, კერძოდ საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტად ეკონომიკური სრულყოფილება აღიარა, რომლის შედარებით კარგ რეგულატორად სწორედ ფედერალიზმის არსებითი მახასიათებლები გვევლინება.

ფედერაციული წყობა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მკაფიოდ გამოხატული სოციალ-

ურ-ეკონომიკური სისტემაა და მის საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი პიროვნება და თვისუფალი საზოგადოება. თავისუფალი პიროვნება სწორედ ფედერალურად არის ჩართული საზოგადოებაში, მთელი თავისი თავისუფლებისა და ვალდებულებების სუვერენობით, როგორც სოციალურ-ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად რეგულირდება ცენტრალური ხელისუფლებიდან, რაც შეეხება ეკონომიკურ თავისუფლებას, პირიქით, უკუგებაც შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან, სწორედ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ხდება უმრავლეს შემთხვევაში ფედერაციული ერთეულის გამოყოფის საბაბი და საფუძველი.

ბუნებრივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნის შემდეგ, ფედერალიზმის თემა ორიენტირებული იყო ამერიკული ექსპერიმენტის მაგალითზე, მაგრამ უმრავლესობა ამერიკის კონტინენტს განიხილავდა ევროპის, ან "ძველი კონტინენტის", ერთგვარ შტოდ და არა თავისთავად განსხვავებულ საფუძველზე წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმად. თვით ამერიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა " ფედერალისტი"-ის გამოცემას. 1787-1788წ. გამოქვეყნებულ წერილში ალექსანდრე ჰამილტონი აანალიზებდა ამერიკული ფედერაციული სისტემის უპირატესობას. საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო ორმაგი ერთობის პრინციპი: " ყოველი მოქალაქე ეკუთვნოდა, როგორც თავის შტატს, ასევე ფედერაციულ კავშირსაც. ორ საწინააღმდეგო მისწრაფებას, ცენტრალისტურს და ფედერაციულს შეეხლო ბოლოს და ბოლოს გამოენახა საერთო ენა" ახალი სისტემა დაფუძნებული იყო ფედერალიზმის ახალ კონცეფციაზე, რომელიც აერთიანებდა ძლიერ აღმასრულებელ ფედერაციულ ხელისუფლებას და ფედერაციული კონსტიტუციისა და მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებების იურიდიულ მცველ ორ პალატას. ერთს "ერის" წარმომადგენელს და მეორეს "შტატებისა". კონსტიტუცია არ არიდებდა თავს არც თავდაცვის საკითხებს და მითუმეტეს, არც ეკონომიკურ პრობლემებს. " ფედერალისტი" იქცა ერთგვარ "ბიბლიად" , არა მხოლოდ ამერიკელი, არამედ მსოფლიოს ფედერალისტებისთვისაც, იმის გამო, რომ იგი აკავშირებდა ფედერალიზმს ხელისუფლების გაყოფის კონსტიტუციურ დოქტრინასთან. გარკვეული დოზით ეს ახალი ფედერალიზმი წარმოადგენდა ტერიტორიულ დაყოფას, განსხვავებით ფუნქციური დაყოფისგან და იგი იერარქიულ დონეთა განუწყვეტელი ურთიერთკონტროლის საშუალებას იძლეოდა.

თანამეროვე ფედერალიზმი არ არის არც დახშული სქემა და არც მზა ყალიბი, რომელსაც ყველამ უნდა მისდიოს. უმჯობესია ფედერალიზმი გავიაზროთ, როგორც არსებული პოლიტიკური სხეულის ფედერალიზაციის პროცესი, რაც ნიშნავს იმას,რომ არსებობს გარკვეული საფუძვლიანი პრინციპები, რომელთა გამოყენების იმდენივე შესაძლებლობა არსებობს, რამდენი სახლმწიფო თუ, მეტიც, საზოგადოებაა ქვეყანაზე.

ფედერალიზმი და ფედერაციის პრობლემის განხილვა, აუცილებლობით მოითხოვს ამ ორი ცნების გაანალიზებას და განსაზღვრას. "ფედერალიზმი" არის კონცეფცია, სოციალურ-პოლიტიკური იდეა, აზროვნებისა და მოქმედების სისტემა, რომელიც ეხება ყველა საზოგადოებას და ადამიანის სოციალურ აქტივობას, ხოლო "ფედერაცია" კი პოლიტიკური სხეულის წყობაა, რომელიც ყოველი ფედერაციისასთვის, კუთვნილი სამართლებრივი მახასიათებლებისა და გამოცდილების მიხედვით თავის თავს "ფდერაციულს" უწოდებდა და რომელსაც აქვს პრეტენზია ფედერალიზმის იდეის განმახორციელებელი იყოს.

ფედერალიზმის იდეა "მრავალი ერთობის" იდეიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი და გახსნილი მრავლობითობისა და განსხვავებულობისათვის, და რომ ერთობა განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ერთეულებისგან იქმნება, თუმცა ვფიქრობთ, რომ ერთობისთვის აუცილებელია ეკონომიკური უზრუნველყოფა. აუცილებკლია აღინიშნოს, რომ პოლიტიკა თავის წყობასა და ფუნქციონირების ფორმებში, შესაძლებლობების ფარგლებში უნდა გამოხატავდეს საზოგადოების შემადგენელ სხვადასხვაობებს. ამგვარი დებულება შეიძლება გაძლიერებულ იქნას არსებითი რწმენით, რომ საზოგადოება ისეთივე განსხვავებულთა სიმრავლეა, როგორც ბუნება და რომ ყველა ცდა ამ განსხვავებულობის აღკვეთისა და გარდაქმნისა, არის ბუნების საწინააღმდეგო მოქმედება, მაგრამ პლურალიზმი არ არის მხოლოდ რწმენა, ის ამავდროულად არის მეცნიერული მიდგომა და ხედვა, სახელდობრ საზოგადოების ცოდნის თვალსაზრისით. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ პლურალიზმი ერთდროულად არის იდეოლოგია, თეორია და ემპირიული მიდგომა პოლიტიკაში.

პლურალისტულია, წყობა თუ იგი ქმნის, გარკვეული ავტონომიის მქონე ჯგუფებიდან შემდგარ ერთობას, რომელშიც ყველა ერთად, დადგენილი და მუდმივი ფორმით მონაწილე-

ობს ცენტრალური ერთობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაში.

ფედერალიზმის განსაზღვრება შეგვიძლია გამოვიყვანოთ პლურალიზმის მცნებიდან, თუ ჯგუფის მცნებას შევცვლით ტერიტორიული ჯგუფის, ან ტერიტორიულად განსაზღვრული ჯგუფების მცნებით: ფედერაციული წყობა ქმნის ავტონომიური ტერიტორიული ჯგუფებიდან შედგენილ ერთობას და იმგვარი ხელისუფლების ფორმაა, რომელიც ძალაუფლების განაწილებისა და განხორციელებისას ეყრდნობა ავტონომიურ ხელისუფლებას, ანუ ადგილობრივი ხელისუფლებას, მუდმივი და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური ერთობის საქმინობასა და გადაწყვეტილებებში.

ამგვარად, პლურალიზმსა და ფედერალიზმს შორის განსხვავებას, ქმნის ტერიტორიული განსაზღვრულობა. ფედერალიზმი აუცილებლობით ითხოვს დამატებით ჰორიზონტალურ განშლასაც და წარმოადგენს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობის ორგანიზების პრინციპს, ავტონომიურობისა და თავისუფლების საფუძველზე.

ფედერაციის საფუძველი არის კონსტიტუცია, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა დანაყოფებს, განსაზღვრავს მათ ავტონომიას და მათ მონაწილეობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

სტანდარტულად გამოყოფის რამდენიმე პრინციპს განიხილავენ:

1) გამოყოფის პრინციპი – ფედერაციული კონსტიტუცია გულისხმობს ხელისუფლების ორ წყობას შორის საკანონმდებლო კომპეტენციათა ზუსტ განსაზღვრას: ცენტრალური ანუ ფედრაციული ხელისუფლება და ადგილობრივი, ანუ წევრთა ხელისუფლებანი (ამერიკული შტატები, გერმანული მიწები, შვეიცარული კანტონები, კანადური პროვინციები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ განაწილება არსებითად გამომდინარეობს ეროვნული (სახელმწიფოებრივი) საზოგადო ინტერესებისა და ადგილობრივი კონკრეტული ინტერესების საგანთა შეფარდებიდან, რაც ქმნის ყოველი ერთეულის დინამიური განვითარების უაღრესად ხელსაყრელ პირობებს და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის და რეალიზების საშუალებას.

2) ავტონომიის პრინციპი – ხელისუფლების ყოველი წყობა ავტონომიურია ან "სუვერენული" კანონის და სამართლის აღსრულების საკუთარ სივრცეში, რომელიც წინარე პრინციპითაა განსაზღვრული. მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას შუძლია განახორციელოს სამართლებრივი კონტროლი, გადაწყვეტილებათა კონსტიტუციური და სამართლებრივი შესატყვისობის თვალსაზრისით. დაუშვებელია კონსტიტუციური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა პოლიტიკური დროულობისა, თუ არადროულობის კონტროლი.

3) თანამონაწილეობის პრინციპი – თანამედროვე რესპუბლიკურ ფედერაციაში კონსტიტუცია არის უმაღლესი ხელშეკრულება, საფუძველმდები შეთანხმება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთლიანად ფედერაციის ხელისუფლებას და წევრთა ხელისუფლებას, რაც განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ერთობაა.

ფედერაციის პრინციპებიბსგან განხვავებით დეცენტრალიზაცია წარმოადგენს უნიტარული ხელისულების მიერ, კომპეტენციების ტერიტორიულ განაწილებას, რომლის დროსაც ადგილობრივ ხელისუფლებას ეძლევა გარკვეული დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღების ავტონომია, რაც განსაკუთრებით ცალსახათ აისახება სოციალური-ეკონომიკურ საკითხებზე.

დეკონცენტრაცია კი, არის ძალაუფლების ადმინისტრაციული განაწილება დაქვემდებარებულ, სპეციალიზირებულ, ან ადგილობრივ ხელისუფლებაზე, რომლის დროსაც ეს დაქვემდებარებული საფეხურები წარმოადგენენ იმავე სახელისუფლებო იერარქიას, რომელიც ახდენს თვისი ძალაუფლების დეკონცენტრაციას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დეკონცენტრაციის საგანი ისევ და ისევ ეკონომიკური მოცემულობაა, რომელიც გავნითარების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაცია, არა მხოლოდ დეცენტრალიზაციის უმაღლესი საფეხურია, არამედ იგი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსითაა განპირობებული. ამ ვექტორზე ფედერაცია იქმნება რამდენიმე განსხვავებული ერთეულის გადაწყვეტილებით, რომ გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოში და დაადგინონ საერთო მიზანი საკუთარი იდენტურობის შენარჩუნებით. ასე მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ფედერაციული წარმონაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა, რომელიც აპრიორი ხელს შეუწყობდა პოლიტიკურად სტაბილური ქვეყნის ჩამოყალიბებასაც.

კითხვა, იწვევს თუ არა ნებისმიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა ცენტრალიზაციის პროცესს? პასუხგაუცემელი დარჩება, ან უკეთეს შემთხვევაში დადებითი პასუხით

შემოიფარგლება, თუ ფედერალიზმს წარმოვიდგენთ, როგორც გაქვავებულ, უდრეკ სისტემას და არა განუწყვეტელ სრულყოფისკენ მიმართულ პროცესს, რომლის მიზანი არის პიროვნების სრული სოციალურ-ეკონომიკური და თუნდაც პოლიტიკური თავისუფლებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა. ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და განსაკუთრებით კულტურული მატრიცის, (რომელიც თავისთავად ქმნის ინდივიდუალურ, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ ეკონომიკას), გათვალისწინების გარეშე, რომელიმე მოწყობაზე საუბარი თავისთავად და იოლად გადადის ფუჭ იდეოლოგიზირებაში და უსაგნო დავაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ფედერალიზმის კონცეპტუალურ სისტემას და ფედერაციის რეალურ სისტემას ახასიათებს, წარმოადგენენ მმართველობის და ადმინისტრაციის ფორმათა ხელისუფლებათა კონსტიტუციური ორგანიზაციისა და ურთიერთმიმართების, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციის ეკონომიკურ-ფინანსური და პოლიტიკური მიმდევრობის გაწონასწორების პრობლემები.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ყველაზე უფრო ფედერალისტურ კონსტიტუციასაც კი შეუძლია იარსებოს ისეთ პირობებში, რომლებიც სრულიად სპობენ ჭეშმარიტი თვითმმართველობისა და ტერიტორიული ავტონომიის ყოველგვარ შესაძლებლობას. სრულიად საკმარისია ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგალითის დასახელებაც ამ კონტექსტში, კერძოდ, იერარქიზებული და დისციპლინირებული ერთპალატიანი სისტემა, გეგმაზომიერი ცენტრალიზებული ეკონომიკა და ფინანსურ წყაროთა მონოპოლიზება უწყობდა ხელს იმას, რომ "კავშირს" შიგნითა რესპუბლიკების სუვერენულობაც და რესპუბლიკებს შიგნითა ავტონომიების ავტონომიურობაც დამოკიდებული ხდებოდა სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოხელეთა სისუსტეზე და კორუფციაზე.

ფედერალიზმი ცენტრალიზაციისადმი შეუთავსებელი წყობაა, აქედან გამომდინარე ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა იქნენ ურთიერთშეთავსებულნი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტრუქტურები ერთმანეთთან ისე, რომ ისინი არ აზიანებდნენ ფედერალიზმის უმთავრეს პრინციპებს.

ამდენად ფედერაციულია სახელმწიფო, რომელსაც აქვს პრეტენზია თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე განახორციელოს "ფედერალიზმის" კონცეფცია, გაჯერების ხარისხი, კი დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ მოცემულობაზე, რომელიც სოციუმის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის უმთავრესი წინაპირობაა და ჯამში სახელმწიფოს პოლიტიკურ სახეს განსაზღვრავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ზ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009;
2. კაშია ჯ., თავისუფლება და ფედერალიზმი, "დიოგენე" 1997;

CONCEPT OF SOCIO-ECONOMIC FEDERALISM

RUSUDAN TEVZADZE - PhD of GTU

Federative arrange, first of all is the socio-economic system.

It manifested in the form of political organization, as a basis for a free society.

None of the Political system, did not detection such opportunities, such as found in the Federal arrangement.

Modern federalism is not ready form, or Closed form, which we all have to follow and understand. Federalism should be understood as a continuous process of federalization.

Federative state is, which has a claim to the territory to carry out "federalism" concept, saturation degree, it depends on the country's economic givens.